საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 45 (6539) 5 ნოემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა ბეღელ-მარანი სავსეა

შიმშილი დაძრწის საქართველოში. ომის მდგომარეობამ, ბლოკადამ ხვალ შეიძლება უარეს დღეში ჩაგვაგდოს. ეს რეალობაა, და არა ვითარების გასამუქებლად ნათქვამი. დღეს ყველა ნორმალური ქართველი უნდა ფიქრობდეს ერთი დიდი საფიქრალით. ეს საფიქრალი საქართველოა, რომელსაც სისხლის ღვრაზე ნაკლებად როდი აუძლურებს უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვება და შიმშილი.

უკანასკნელ დღეებში არც თუ პატარა იმედი გაჩნდა. რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები დაღლილ-დაოსებულმა ხალხმა თავისებურ გაბრძოლებად, იმ ბიჭების პატივსაგებად, ერთგულებად მიიღო, აფხაზეთში რომ სისხლს ღვრიან წარბშეუხრელად. არჩევნო ყუთთან მისულმა საერთო სანატრელი სურვილით გატანჯულმა ერმა ერთი ამოიგმინა: ოღონდაც ომი ნუ იქნება და...

ახლა ერთი იმედითღა ვცოცხლობთ, ახლადარჩეული პარლამენტის იმედით. ღმერთმა არ ქნას გამტყუნდეს ეს იმედი.

ახლა ქართულ მიწაზე შემოდგომაა, გულუხვი შემოდგომა ასე თუ ისე, მაგრამ სისხლიანი, ტკივილიან-ცრემლიანი. და მაინც, მით უფრო უნდა მივხედოთ საქმეს, ძალი და ღონე მოვიკრიბოთ, რომ თითოეული კილოგრამი მოსავლის აღებას, საიმედოდ დაბინავებას სახელმწიფოებრივი ეროვნული მნიშვნელობა მივცეთ. ეს არაა გადაჭარბებული ნათქვამი. იქ რომ აფხაზეთში ბიჭებს ცხვრიან, იქ რომ სცივათ და შიათ, ყველას გვავალებს ჩვენი გავაკეთოთ, საკუთარი წარმოების პროდუქცია შევქმნათ, თავიც დავირჩინოთ და ეროვნულ გასაჭირსაც შევაშველოთ ხელი.

წელს სამდურავი მოსავალი არაა ლეჩხუმში. გულს უხარია, როცა ხედავ ჩვენი მშრომელები ხილ-სანოვაგით ქალაქისაკენ რომ მიდიან. ეს იმიტომ, რომ ბლომად მოვიდა მოსავალი, გოჯი რა არის, ისიც არ დარჩენილა წლეულს უქმად. კარტოფილი, კომბოსტო, ჭარხალი, ხახვი, წლების წინათ რომ ქალაქიდან ვეზიდებოდით, თითქმის ყოველმა მე-10 ოჯახმა მოიწია, თანაც სამყოფზე მეტი. ეს დიდი იმედია, დიდი გარანტი, რომ ქალაქსაც დავეხმაროთ, უნდა ყველამ შევიგნოთ, რომ თუ ჩვენ ერთმანეთს არ შევაშველეთ ხელი, არავის თანადგომის იმედი არ უნდა გვქონდეს.

რთველი დაგვიანდა წელს. ყურძნის საადრეო ჯიშების კრეფა ეს-ესაა დაიწყო. მაღალი ანაზღაურების გამო, ბევრი ყურძნის გარკვეულ მოსავალს სახელმწიფოს ჩააბარებს. ეს აუცილებელია, რადგან ლეჩხუმური უნიკალური ღვინო მასალის დამზადება გარანტიაა ამ პროდუქციის გატანით ჩვენთვის სასურველი სანაცვლო შემოვიტანოთ.

გულითადი შემოდგომაა სოფლად. ავდრიანი დღეების შემდეგ სითბო და მშრალი დღეები დაიჭირა. გამოვიყენოთ ეს დღეები, დავაბინაოთ მოსავალი, გული საგულეს მაშინ დაგვიდგება, როცა ქართული ბეღელ-მარანი მადლით, სიუხვით და სიკეთითაა სავსე.

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პირველი სესია

დღეს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მცხოვრების ყურადღება მიქცეულია თბილისისაკენ, სადაც 4 ნოემბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პირველმა სესიამ.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა დეპუტატმა აკადემიკოსმა ნიკო ჭავჭავაძემ. სესიის მონაწილეებს, სტუმრებს მიესალმნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, სახელმწიფო საბჭოს სახელით ალექსანდრე ჭავჭავაძე... ჭავახიშვილი, სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის კომისიის თავმჯდომარე სეირან ბაღდასარიანი.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, სხდომის სამდივნო, სამანდატო კომისია.

პარლამენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ალექსიძემ სესიას წარუდგინა ანგარიში საარჩევნო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

სესიაზე სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ლუიზა შაკიაშვილის წინადადებით დამტკიცდა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის და დეპუტატთა რწმუნებანი.

სესიაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი.

სესიამ მიიღო პარლამენტის რეგლამენტი.

რესპუბლიკის პარლამენტის სესია მუშაობას განაგრძობს.

## ცაგერის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსის ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 1992 წლის 20 ოქტომბრის ბრძანების თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევა დაიწყოს 1992 წლის 2 ნოემბერს. გაწვევას ექვემდებარებიან 1967-1974 წლებში დაბადებული მოქალაქეები.

გაწვევას ექვემდებარებიან მოქალაქეები, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც არ ყოფილან გაწვეული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში და ეროვნული გვარდიიდან უკან დაბრუნებულები.

გაწვევაზე გამოცხადდნენ შემდეგი მისამართით: ქალაქი ცაგერი, გოლეთიანის ქ. № 1. დღე და საათი ნაჩვენებია უწყებაში. წვევამდელი, რომელმაც ვერ მიიღო უწყება რაიმე შემთხვევის გამო, ვალდებულია გამოცხადდეს სამხედრო განყოფილებაში 1992 წლის 30 ნოემბრამდე.

ცაგერის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსი, ლეიტენანტი ხ. ფუტკარაძე.

29 ოქტომბერი 1992 წელი, ქ. ცაგერი.

## ძმა ძმისთვისაო...

საქართველოში ომი მძვინვარებს. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია ქვეყანა. იმისათვის, რომ მოვიგერიოთ უცხოტომელების შემოსევა, დავიცვათ ჩვენი მიწის მთლიანობა, საჭიროა გავერთიანდეთ, მეტი ვიფიქროთ სამშობლოს დაცვაზე, უკანასკნელი კაპიკი გავიღოთ თავდაცვისათვის.

დიდი დრო არ არის, რაც აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილებაში თავდაცვის ფონდის ანგარიში გაიხსნა. დღეისათვის თავდაცვის ფონდში რაიონის წარმოება-დაწესებულებებმა, ცალკეულმა მუშაკებმა შეიტანეს 172773 მანეთი. ღვინის ქარხნის მუშაკებმა 25000 მანეთი გადარიცხეს, 10000 მანეთი საზკვების გაერთიანებიდან გადაირიცხა, 8000—8000 მანეთი შემნახველი ბანკისა და რაისაავადმყოფოს თანამშრომლებმა გაიღეს, ლაჯანურჰესის მუშა-მოსამსახურეებმა 7672 მანეთი, განათლების პროფკავშირებმა—2000 მანეთი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა—11254 მანეთი, სახდაზღვევის მუშაკებმა—1900 მანეთი, რაიაფთიაქის თანამშრომლებმა 450 მანეთი შეიტანეს თავდაცვის ფონდში.

თავდაცვის ფონდში თანხების შეტანა გრძელდება.

* * *

რაიონულ საკრებულოში აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების შტაბი მოქმედებს. შტაბში გროვდება სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, ხდება ლეჩხუმს თავშეფარებული ლტოლვილებისადმი დახმარების კოორდინაცია. როგორც შტაბის წევრმა მანანა თვარაძემ გვაცნობა, შტაბში ლტოლვილებისათვის განკუთვნილი ნობათი უკვე მიიტანეს № 23 საგზაო სამმართველოს, შემნახველი ბანკის, კულტურის განყოფილების, ფირმა „საქმონტაჟსპეცრემმშენის" ცაგერის მე—5 სამშენებლო უბნის, სოფლის მეურნეობის სამმართველოს, კინოფიკაციის, აფთიაქის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, ცაგერის ღვინის ქარხნის მუშაკებმა.

ქალბატონმა მანანამ გვაცნობა აგრეთვე, რომ სოფელ ორბელის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შეაგროვა ას-ასი მანეთი ეროვნული თავდაცვის ფონდში ჩასარიცხად. მათ შორის არიან: რეჯიბ, მუხრან, ამირან, დავით, გურამ, მურმან, გოჩა, შაქრო, ბესო გვიშიანები, მურად, სოსო, აბელ, მურმან, ბუხია, ზამირ ბურჯალიანები, გია გობეჩაშვილი, ბადრი, ინდიკო, ტუხუ, ზურაბ გურგუჩიანები, კახა მეგრელი, გულვერ ბახსოლიანი, ზურიკო ალავიძე. ამ ადამიანებმა თავდაცვის ფონდში ამას გარდა თითოთვის ხელფასიც გადარიცხეს.

* * *

ძმა ძმისთვისაო და შავი დღისთვისაო, ნათქვამია. შავი დღეები უდგას ჩვენს სამშობლოს და ყველაზე მეტად ახლა ვჭირდებით ერთმანეთს. ჩვენი შემწეობა, დახმარება, მოფერება უნდა საკუთარი კერიდან ლტოლვილ, სევდამწარებულ, ლამის იმედდაკარგულ ადამიანებს. ძმის თანადგომა თუ გაუმთელებთ გაბზარულ გულებს.

## ძვირფასო ლეჩხუმელებო!

იმ დროს, როცა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში თითქმის ყველა რაიონში (ე. წ. პროვინციებში) ამომრჩევლებმა უპირატესობა ბლოკ „მშვიდობას" მიანიჭეს, ლეჩხუმში პირველ ადგილზე „ქარტია—91" აღმოჩნდა. ეს ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ—ჩანს, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ხალხი გრძნობს ჩვენს სიმართლეს. ამომრჩევლის ამგვარი განწყობილება ბევრს გვავალდებულებს (თუმცა არ ვფარავთ არჩევნების საერთო შედეგების გამო უკმაყოფილებას) და მაინც—არც ახლა ვიძლევით დაპირებებს, რადგან ვთვლით, რომ ხალხის მოტყუება, რა მიზნებსაც უნდა ემსახურებოდეს ეს, უზნეობაა. გვესმის რა შექმნილი სიტუაციის მთელი სირთულე, გპირდებით მხოლოდ ერთს—ვემსახუროთ სიმართლეს და მოვიქცეთ რწმენის შესაბამისად. ჩვენ ახალგაზრდები ვართ და ზოგჯერ იქნებ ვცდებოდით კიდეც, მაგრამ ყოველთვის სინდისის კარნახით ვიქცეოდით. ვფიქრობთ, სინდისიერება პოლიტიკაშიც საჭიროა, მით უფრო ახლა, როცა თავისუფალი საქართველოსთვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა და იგი პრინციპულ გადაწყვეტებს ითხოვს.

ძვირფასო ამომრჩევლებო! ულრმეს მადლობას გიხდით და ვეცდებით დაგარწმუნოთ, რომ თქვენ არ შემცდარხართ ჩვენს არჩევაში. მთელი ჩვენი ძალისხმევა, ცოდნა და ნებელობა მიმართული იქნება წინასაარჩევნო პროგრამის ხორცშესასხმელად, ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ვართ ის, რადაც ვაღიარებთ თავს.

„ქარტია—91"-ის ცაგერის რაიონული ორგანიზაცია.

# სისხლი სიცოცხლეა

დღეს ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მცხოვრების ყურადღება მიპყრობილია აფხაზეთისაკენ, სადაც მიმდინარეობს ომი, სამამულო ომი. აფხაზი ექსტრემისტები, ჩრდილო კავკასიელი კონფედერატები რუსი ნაციონალისტების ხელშეწყობით ცდილობენ აფხაზეთი ჩამოაცილონ საქართველოს. ომს ყოველთვის მოჰქონდა და მოაქვს მსხვერპლი. ათასობით დაჭრილი მეომარი მკურნალობს სოხუმის, თბილისის თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საავადმყოფოებში. დაჭრილთა მკურნალობისათვის მედიკამენტებთან ერთად პირველ რიგში საჭიროა სისხლი.

ცხოველმყოფელი სითხის სულ ხუთი ლიტრი (სისხლის ასეთი რაოდენობა აქვს მოზრდილ ადამიანს) სხეულის ყველა ორგანოსა და ქსოვილს ამარაგებს ჟანგბადით, წყლითა და ყუათიანი ნივთიერებებით. სისხლის დაკარგვისას ადამიანი სიცოცხლესაც ეთხოვება. სწორედ ამიტომ მედიცინაში წარმოიშვა სიცოცხლის შენარჩუნების ისეთი მეთოდი, როგორიც არის სისხლის გადასხმა. ჩვენ დროს იგი გახდა მკურნალობის ჩვეულებრივი ხერხი. სიკვდილს გამოსტაცა ხელიდან მილიონობით ადამიანი.

უნდა ითქვას, რომ ორგანიზმის სისხლის თითქმის ნახევარი თავისებურ მარაგში იმყოფება, იგი თავმოყრილია და ნელი ტემპით ცირკულირებს განსაკუთრებულ „დეპოში"—ღვიძლში, ელენთაში. ამიტომ სისხლის მცირე დანაკარგი პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე—იგი სწრაფად ივსება მარაგიდან. ორგანიზმის ეს თავისებურება დაედო საფუძვლად დონორობას. ყველა ქვეყნის ექიმების გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს: პერიოდული, გარკვეული დროის შემდეგ დადგენილი ინტერვალებით ჯანმრთელი ადამიანისაგან 200—400 გრამი სისხლის გადასხმა არავითარ უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს მის ორგანიზმზე. უფრო მეტიც, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ასეთი პროცედურა აქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას.

ჩვენს რესპუბლიკას კატასტროფულად არ ყოფნის დონორები. დღეს საქართველოში პაციენტთა 70 პროცენტზე მეტი საკმარისი რაოდენობით ვერ იღებს საარსებო მნიშვნელობის სისხლის პრეპარატებს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გარეშე რჩებიან ფეხმძიმე ქალები, ჩვილი ბავშვები, ავადმყოფები, რომლებსაც ქირურგიული მკურნალობა სჭირდებათ, დაჭრილები, რომელთა რიცხვი უკანასკნელ ხანს დიდად გაიზარდა. არ გვყოფნის ისეთი ეფექტიანი საშუალებები, როგორიც არის ალბუმინი, პლაზმა.

უკანასკნელ ხანს ტელევიზიით სულ უფრო ხშირად გაისმის განცხადებები სისხლის უკმარისობის შესახებ. და, თუ წინათ ასეთ განცხადებებს ათასობით კაცი ეხმაურებოდა, ახლა სისხლს მხოლოდ ერთეულები თუ აბარებენ. თვით ექიმებს უწევთ ხოლმე იკისრონ დონორის როლი. მაგრამ ეს არ არის გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან. ეფექტიანი მკურნალობის გარანტიაა სისხლის მარაგი, რომელიც დაცულია მაცივრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ შეიძლება გვიან იყოს.

ამ გაჭირვების ჟამს საჭიროა რაიონის მშრომელები გაგებით მოეკიდონ ამ მეტად მნიშვნელოვან, სასიცოცხლო საქმეს, ჩადგნენ დონორთა [illegible] შესაძლებლობისა [illegible] სისხლი, რომ[illegible] მიეწოდება ომში დაჭრილებს, ასევე მოხმარდება სხვა ავადმყოფებს.

რაიონის საკრებულომ და რაიონული საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ დავსახეთ ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა რაიონში დონორობის გააქტიურებისათვის.

დონორობა უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდების საქმეა. დღეს რაიონის ყოველმა მოქალაქემ უნდა შეიგნოს, რომ სისხლის ჩაბარებით იგი გადაარჩენს ომში დაჭრილების თუ მახლობელ ადამიანთა სიცოცხლეს.

მეგობრებო, ჩადექით დონორთა რიგებში!

მ. თოთაძე,
რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

---

შენი შვილია, ლეჩხუმო!

# „მე ვსაუბრობ გასაგებად"

სექტემბერში ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს მერაბ მამარდაშვილს 62 წელი შეუსრულდებოდა. დღეს ბევრი იწერება ბატონ მერაბ მამარდაშვილზე. გარდაცვლილ მეცნიერს იხსენებენ მეგობრები, კოლეგები, სპეციალისტები, იბეჭდება მისი ლექციები, საუბრები, ითარგმნება წიგნები. უეჭველია, რომ XX საუკუნის ამ დიდ მოაზროვნეზე კვლავაც ბევრი ითქმება და დაიწერება როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ვფიქრობთ, მკითხველისათვის არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორი იყო ბატონი მერაბი ცხოვრებაში, ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობაში.

ვბეჭდავთ მერაბ მამარდაშვილის ახლო ნათესავის, ოპერის სოლისტის შოთა ჩაკვეტაძის საუბარს მერაბ მამარდაშვილზე.

—როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ მერაბი მოსკოვიდან თბილისში გადმოვიდა სამუდამოდ საცხოვრებლად, მას არავინ იცნობდა, ნათესავებისა და მეგობრების ვიწრო წრის გარდა. მერაბთან ხშირად დავდიოდი ბინაზე, სადაც ცხოვრობდა დედასთან და დასთან ერთად. ხშირად ვხვდებოდით ნათესაურ წვეულებებზე.

იგი ერთი შეხედვით არავისგან გამოირჩეოდა, თუმცა ყველასგან გამორჩეული იყო თავისი სიდინჯით, დარბაისლობით, დახვეწილი მანერებით, ახლობლების მიმართ სითბოთი და სიყვარულით, არ უყვარდა ცოდნით თავის გამოჩენა. საკუთარი ინიციატივით არასოდეს იწყებდა საუბარს. თუ რამეს შეეკითხებოდნენ, უპასუხოდ და უყურადღებოდ არავის დატოვებდა. ცდილობდა მარტივად ესაუბრა, მაგრამ ამ შინაურულ საუბარშიც ფილოსოფოსი იყო.

მახსოვს, ერთ-ერთი ლექციის შემდეგ ფეხით რომ მოვსეირნობდით (მაშინ ქართულად კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში) შემაჩერა და მკითხა, გასაგებად თუ ვსაუბრობო. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო მერაბის ცხოვრებიდან.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სახალხო ფრონტის პირველი ყრილობა მიმდინარეობდა. მაშინ მერაბი ჩართული იყო ეროვნულ მოძრაობაში—სახალხო ფრონტში ირიცხებოდა (ცოტა მოგვიანებით გამოვიდა ფრონტიდან). მერაბი ახალი გამოსული იყო საავადმყოფოდან და სულ თან დავყვებოდი, ვგრძნობდი, რომ ყველა ვერ უგებდა და ვცდილობდი არავის ეწყენინებინა, უხეშად არ მოქცეოდნენ.

წყენინება კი არა, უარესიც უქნეს. მე მგონი, მერაბ მამარდაშვილით დაიწყო მაშინ ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილის დევნა, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩაბმული. ყრილობის პირველსავე დღეს ზვიად გამსახურდიამ აუგად მოიხსენია მერაბ მამარდაშვილი და სახალხო ფრონტის გაზეთში დაბეჭდილი მისი წერილი. სანიმუშოდ მოიყვანა შემდეგი აბზაცი:

„უკიდურესი რადიკალური ძალები, რომლებიც ჩაბმული არიან უკიდურესი ხასიათის ოპოზიციურ მოძრაობაში, თავის უნებურად ობიექტურად არსებული ტოტალიტარული საზოგადოებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია და თავიანთი ქმედებით ამართლებენ მმართველობის დიქტატორულ სისტემას".

ეს სიტყვები მაშინ ბევრმა ვერ გაიგო, ხოლო ვინც გაიგო, თქვა, ასე არ უნდა დაეწერაო. რაც მთავარია, მათ, ვისი მისამართითაც იყო ეს სიტყვები ნათქვამი, ძალზე კარგად გაიგეს. გაუგებარი მხოლოდ ერთი რამ იყო: ფილოსოფოსი რის ფილოსოფოსია, თუ თავისი აზრი არ გამოთქვა და სიმართლე არ უთხრა ხალხს. დარბაზი უკვე მის წინააღმდეგ იყო განწყობილი როცა მერაბი ტრიბუნაზე ავიდა სიტყვის სათქმელად, დაუსტვინეს, ერთის თქმა კი მოასწრო: თქვენ ხელს უწყობთ და ტაშით აჯილდოებთ ზვიად გამსახურდიას სახალხო ფრონტის დაშლაში და საინტერესოა, რომელმა ჰკუათმყოფელმა ტვინიკოსმა დადგა ეს სცენაო.

მართლაც ასე ავიხდათ ყველაფერი, როგორც ეს ახდა. სახალხო ფრონტმა იარსება მანამდე, სანამ გამსახურდიას სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, მერაბი ტრიბუნიდან ჩამოაგდეს და კაცი არ აღმოჩნდა დარბაზში, ვინც მას დაიცავდა, გარდა ქალბატონ მანანა გიგინეიშვილისა. მეორე დღეს კვლავ გამოვიდა მერაბ მამარდაშვილი სიტყვით. ამჯერად მოუსმინეს და ფაქტიურად გააერთიანა ორად გახლეჩილი სახალხო ფრონტი. მაგრამ მას მაინც ვერ გაუგეს, როცა ასეთი რამ თქვა: „ჯერ ჭეშმარიტება ჩემში და მერე სამშობლო". შესვენებაზე ბატონმა შოთა ნადირაძემ უთხრა: „ბატონო მერაბ, ახალგაზრდობას თქვენი სჯერა და ცოტა გასაგებად ისაუბრეთ, თორემ აქ არ დაგედგომებათო".

აი, აქ გასცა მერაბმა პასუხი თავის კითხვას, მე რომ დამისვა ლექციის შემდეგ:

—შოთა, აბა სად ჯანდაბაში წავიდე? მე ვსაუბრობ გასაგებად. თუ დღეს ვერ გაიგეს, ხვალ გაიგებენ, თუ ხვალაც ვერ გაიგებენ, დაფიქრდებიან და ზეგ გაიგებენ, და თუ ზეგაც ვერ გაიგეს, გადაშლიან წიგნს და გაიგებენ.

მიკვირდა, მერაბმა არ ჩამითვალოთ მერაბის ქება, არადა რა სჭირს ჩემი საქებრი, მას მსოფლიო აღიარებს და აქებს. მერაბი იყო პატიოსანი, სპეტაკი, მართალი და უშიშარი პიროვნება. ყველაფერი ქართული ჰქონდა, ყველაფერი, თუ რამ კარგია ქართველ რაინდში, საოცრად შერწყმული იყო მერაბში. საქართველოს მთისა და ბარის ვაჟკაცობა და სინაზე. მამით დასავლეთ საქართველოს მთიანი მხარიდან—ლეჩხუმიდან იყო, ხოლო დედით გორის რაიონიდან, სადაც ბავშვობაში იზრდებოდა, რომ ამბობენ, რუსეთუმე იყო მამარდაშვილიო, ახლავე მოგახსენებთ, როგორი რუსეთუმეც იყო მერაბი.

საქართველოს დელეგაცია ინგლისში იმყოფებოდა. მამარდაშვილი კონფერენციებზე სიტყვით გამოდიოდა ინგლისურად, ხოლო ქართველები—რუსულად გამოდიოდნენ. მამარდაშვილის საუბარს ინგლისურიდან ქართველებს რუსულად უთარგმნიდნენ. ასე იყო საფრანგეთში, ასე იქნებოდა ესპანეთში, იტალიაში, გერმანიაში და ამერიკაშიც. ახლა მე გეკითხებით: რომელია ქართველი და რომელი რუსეთუმე? რომ ამბობენ, ადამიანი მხოლოდ ერთ ენაზე აზროვნებსო, ვფიქრობ, მერაბზე ეს არ ითქმის, ის იშვიათი გამონაკლისია, ერთი სიტყვით, დიდი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი იყო.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

---

# ძვირფასო მკითხველო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა, ომია, იღუპებიან ადამიანები, ახალგაზრდები, შინაური თუ გარეშე მტერი ერთბაშად უტევს საქართველოს. ამ სიტუაციაში გვიმძიმს და მკრეხელობადაც მიგვაჩნია გაზეთის გამოწერაზე საუბარი. მაგრამ არც ის ივარგებს, უყურადღებოდ დაგტოვოთ. გაზეთი ნებისმიერ დროს, და მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში, ისიც რაიონული, მშობლიური, თქვენი ინფორმატორია, თქვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ამდენად ჩვენის აზრით, ჰაერივით საჭიროა თითოეული ჩვენთაგანისათვის.

გაზეთების გამოწერა დაიწყო. ალბათ ბევრს გაგიჩნდათ სურვილი გამოიწეროთ „ლეჩხუმი". გამოწერა შეგიძლიათ 1 წლით, 6 თვით. წლით ჩვენი გაზეთის ფასი 57 მანეთია. გვესმის რა უმრავლესობის დღევანდელი საოჯახო ბიუჯეტის სიგრძე—სიგანე, ესაა ძალზე შეღავათიანი ფასი იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ქაღალდს, პოლიგრაფიულ მომსახურებას თუ სხვა აუცილებელს მიაქვს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო. ხელმოწერა რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე" დაიწყო. მისი გამოწერა მიმდინარეობს ჩვენთან, რაიონული გაზეთის რედაქციაში ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

თქვენი თანადგომის იმედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გვაქვს.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი", ლეჩხუმელებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე ვსაუბრობ გასაგებად“

(დასასრული)

სადაც საჭირო იყო, მერაბი, იქ მართლა რომ ეროვნული მოვლენა იყო. საზღვარგარეთს ვგულისხმობ. თუ ვინმეს ერი უნდა წარმოეჩინა საზღვარგარეთ, მერაბისთანა კარგ წარმომადგენელს ვერ ნახავდი მთელ საქართველოში, სანთლით რომ გეძიათ. სიმართლის თქმა უყვარდა. მრგვალად, ნათქვამი აქვს ჩვენს უბედურებაზე, რომ ქართველები ნუ ვეძებთ მტერს მოსკოვსა და მექაში, უმჯობესია მტერი საკუთარ სახლში ვეძიოთო.

თავის წინამორბედ დიდი ილია ჭავჭავაძესავით ჭეშმარიტების მქადაგებელი იყო. სალოცრად ცმთხვეოდა მათი აზრები ერთმანეთს ეროვნულ საკითხებში, მაგრამ ვინ დაუჯერა ან ერისა და ან მეორეს. კარგი, მერაბ მამარდაშვილს თავი დავანებოთ, ის „რუსეთუმე“ იყო. მაგრამ ილია? სწორად აქვს მერაბ მამარდაშვილს ნათქვამი ილიაზე: თუ როგორ მოუწოდა ილიამ და მიუთითა ქართველ ერს ამა და ამ მატარებელში ჩაჯექითო და ამა და ამ მიმართულებით წადითო, მაგრამ ხალხმა ილიას არ დაუჯერა და სულ სხვა მატარებელში ჩასხდნენ და სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ. ზედმიწევნით უყვარდათ ილიასა და მერაბს საქართველო, ვერ იტანდნენ სამშობლოს გამყიდველებსა და მოღალატეებს. ამიტომაც დახვდნენ ბერბიჭაშვილები ერთს წიწამურთან, საგურამოსკენ მიმავალს, ხოლო მეორეს — მოსკოვში, თბილისში მომავალს. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ნათესავი იყო და იმიტომ არის ასე განაწყენებულიო, ჯერ ერთი, ასეც ვთქვათ, მეორეც, მე მგონია, რომ მერაბ მამარდაშვილი მსოფლიოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანების ნათესავი იყო.

შესანიშნავად ბრძანა ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ მერაბის გარდაცვალების წლისთავზე, „მერაბ მამარდაშვილზე ან მთელი წელი უნდა ილაპარაკო, ან სულ გაჩუმდე“.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

# განცხადება

მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა ზოგი მოქალაქე არღვევს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და რემონტისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი სესხების გადახდის ვადებს.

შემნახველი ბანკი მკაცრად აფრთხილებს ყველას, ვისაც დავალიანება აქვს, დაფაროს იგი მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში 30 ნოემბრიდან საკითხს განიხილავს რაიონის სასამართლო.

ცაგერის შემნახველი ბანკი.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ

გთხოვთ შემნახველი ბანკის სალაროებში წარმოადგინოთ 1982 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები გასანაღდებლად (ანაბარზე აღება).

განაღდების ბოლო ვადაა 1992 წლის 31 დეკემბერი.

ცაგერის შემნახველი ბანკი.

# ხსოვნა

## მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

ფოთოლცვენაა...

ეს მეორე შემოდგომა მოვიდა იმ უბედური ოქტომბრის შემდეგ, რაც დაგკარგეთ, მამუკა!..

შემოდგომაა, ქორწილების სეზონი, შენი ქორწილი კი როდის გადავიხადოთ, ბიჭო!..

რა მალე გავიდა ერთი წელი...

შენს სურათებთან თეთრად დათენებული ღამეები... ტანსაცმელზე ჭერაც შემორჩენილი შენი სითბო... და ცრემლები, ცრემლები...

ერთი წელია გელოდებით... გეძებთ და ვერ გიპოვეთ, გეძახით და არ მოდიხარ. ჭერაც გვგონია, კარი გაიღება და შემოხვალ მხიარული, აშოლტილი, ლამაზი, კეთილი, გულთბილი, როგორიც იყავი მუდამ, როგორიც უყვარდი ყველას, ყველას...

დიდხანს ვებრძოდით შენს ბედისწერას... ამაოდ! მეგობრებისთვის გითქვამს, ვიცი რაც მჭირს, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, მაგრამ ჩემები მეცოდებიან და ვერ ვამბობო. ჩვენც ვიცოდით... ერთმანეთს ვუმალავდით საზარელ საიდუმლოს, მაგრამ... დაგკარგეთ!..

მუსიკა გიყვარდა საოცრად, ჩვენო თვალებსევდიანო ბიჭო! ბოლო თვეებში განმარტოებას ესწრაფვოდი, მუსიკასა და სევდიან ფიქრებს მინდობილი, დღითიდღე ილეოდი, ხელიდან გვეცლებოდი და ვერაფერს გშველოდით... ვაიმე, შვილო! მხოლოდ შენნაირ დიდსულოვან ადამიანებს შეუძლიათ სიკვდილის მოლოდინი ისე მშვიდად...

5 ნოემბერს 25 წელი გისრულდება, მამუკა! ვინმე მაინც დაგვრჩენოდა შენს სახელზე, ბიჭო! ვინ ვაცოცხლოთ შენი წილი სიცოცხლით, ვინ გავალიმოთ შენი ღიმილით, ვინ გავახაროთ შენი სიხარულით, ვისზე გადავიტანოთ შენი სიყვარული!..

შენი დაკარგვით სიხარულის ნიჭი დავკარგეთ, სიცოცხლე გაგვინახევრდა თითქოს, ჰაერი არ გვეყოფა ჩვენთვის, ის ჰაერი, შენ რომ გინდოდა სიცოცხლის ბოლო წუთებში და არ გყოფნიდა...

ვაი ჩვენს ცრემლიან სიცოცხლეს და შენს უბედურ ახალგაზრდობას, ვაი და ვაი!..

ღმერთი იყოს შენი სულის მფარველი საუკუნო სასუფეველში.

დაბადების დღეს, გილოცავთ, მამუკა!

შენი გამწარებული მშობლები;

გოგი, გია, იამზე, ციცო, ეკა, ქეთინო, ჯაბა.

## რამინ ზაქროს ძე ვაწაძე

ამბობენ, ადამიანის ბედისწერას ეშმაკიც ქმნის და ანგელოზიცო, ალბათ ეშმაკმა თუ დაგიმიზნა ურწმუნო ოსის ხელით შუბლში ტყვია და სამუდამოდ დაგახუჭინა თვალები. გმირულად შესწირე თავი თამარაშენის მიწას. მთელი სოფელი გინთებდა სანთლებს და შენი გადარჩენისთვის ლოცულობდა. არ გაჭრა ვედრებამ, ვერ გადაიტანე მძიმე ჭრილობა. ჩვენი გულებიც თან წაიღე, რამინ, ჩვენო ობოლო, ნაბოლარა ბიჭო!

დღეს, 5 ნოემბერს 24 წელი გისრულდება. შენს საფლავზე შევხვდებით ცრემლით და გოდებით. რა მძიმეა ეს ყველაფერი ჩვენთვის, ძმაო... რა თბილი, გამორჩეული ბიჭი იყავი, როგორი მოფერება და გულში ჩახუტება იცოდი. 7 ივლისს ყველანი გვინახულე, დედმამიშვილები, ყველა გულში ჩაგვიკარი. სოფელშიც ახვედი, მეზობლებს გამოემშვიდობე... მეოთხე დღეს „დაგვიბრუნდი“... თითქოს დავაუკაცებული, გაზრდილი... როგორ შეგელიეთ მიწისთვის. დაგვრჩა მხოლოდ შენი სევდიანი სურათები.

არ დაგივიწყებთ, ძმაო, შენი და-ძმები, სიძეები, რძლები, შენი ნაფერები დისშვილები და ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები, მეზობლები. ისლა დაგვრჩენია, პატივი მივაგოთ შენს უკვდავ სულს, საფლავი მწუხარე ცრემლით დავასველოთ, სანთლები ვანთოთ შენს მოსაგონებლად.

დები, ძმები ოჯახებით, ახლო ნათესავები.

## თენგიზ აკაკის ძე ბენდელიანი

ოცი წელი გარგუნა ბედმა ამქვეყნიური ცხოვრებისა. სამხედრო სამსახურს იხდიდი, მაგრამ არ დაგინდო მუხთალმა სიკვდილმა და აგერ თერთმეტი წელია შენი ლამაზი სული მარადიულ სასუფეველში დამკვიდრდა, ჩემო თვალმახარა შვილო, შენი სილაღე, სითბო, მოსიყვარულე გული ყველას სწყდებოდა, ვისთანაც ურთიერთობა გქონდა.

მოვალთ შენს საფლავზე გამწარებული დები, ჩვენო ერთადერთო საფიცებელო. რამ უნდა გაგვახაროს, უშენოდ ხომ ჩვენი გული მკვდარია.

ექვსი ნოემბერი შენი დაბადების დღეა, ყვავილები და ცრემლებია ჩვენი საჩუქარი, შენი გულმკვდარი დედა შენს სულს ემსახურება, რა ქნას შენმა მოხუცმა მამამ, შენი იმედი რომ ჰქონდა, ძლიერ გვენატრები, ნეტავი როგორი იქნებოდი ოცდაათი წლის თენგო.

ზურიას სიკვდილიც ხომ თავზარდამცემი იყო ჩვენთვის, ის ხომ შენს მაგივრობას გვიწევდა, ახლა ალბათ ერთადა ხართ, ჩვენ კი, გამწარებული მშობლები, დედმამიშვილები და ახლობლები არასოდეს დაგივიწყებთ.

შენი დაკარგვით გულმკვდარი მშობლები, დედმამიშვილები, ახლობლები.

## ზურაბ (ზურიკო) გიგლას ძე უგრეხელიძე    როზალიუს (ტარო) ქორას ძე ყურაშვილი

საბედისწერო გახდა ჩვენთვის და თქვენთვის 1986 წლის 7 სექტემბერი. ამ დღეს ჩვენს ოჯახში უსაზღვრო სიხარული შემოვიდა, ჯერ სიძემ შემოალო ჩვენი ეზოს ჭიშკარი თავის ცოლ-შვილით, შემდეგ კი შვილმა, რომელიც ბოლნისში იყო სამუშაოდ და ორი თვე არ გვენახა. სიძის და შვილის ნახვას დანატრებულებს, სიხარული მალე შეუშრობელ ცრემლად და დარდად გვექცა. სტუმრად მოსულმა მეგობარმა სახლში წაყვანა გთხოვათ. წასვლით კი წახვედით, მაგრამ სახლში სხვისი მოსაყვანები გახდით და როგორ, ამას ვერ ალვწერ. დარჩა შვილო, შენს მშობლებთან, ცოლ-შვილთან, დედმამიშვილებთან შენს მაგივრად დარდი და ნაღველი.





ზურა, რა მოკლე გამოდგა შენი სიცოცხლე, ჩვენო საფიცებელო შვილო, ოჯახს მოეკიდე, ცხოვრებას აგრძელებდი, 25 წლამდე მოასწარი ყველაფერი თითქმის და სამუდამო სასუფეველიც დაიმკვიდრე. მაშინ შენი გოგო ცხრა თვისა იყო, წელს, პირველ სექტემბერს, კი სკოლაში წავიდა. მამას დანატრული შენს ოთახს და ქვაზე ამოტვიფრულ შენს სახეს ეფუხფუსება.

ზურა, არასდროს დაგივიწყებენ ტანჯული ცოლ-შვილი, მშობლები, დედმამიშვილები, მაგრამ შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არასოდეს შემსუბუქდება.

ტარო, როგორ გაიწამე შენი ცოლ-შვილი, მუდამ თვალცრემლიანი არიან, ნინო იგონებს შენს ალერსს, გია კი სურათებს ეფერება, მაშინ პატარები იყვნენ, ახლა ნინიკო მეექვსე კლასშია, გია — მესამეში, გაგიზრდებიან შვილები და მუდამ ეხსომებათ მამა. შენს ლამაზ სახეს და ტკბილ სიმღერებს ვიდეო ჩანაწერები შემოუნახავს მათ.

იძინეთ მშვიდად, შვილებო, მსუბუქი იყოს თქვენთვის ის მიწა, რომელიც უდროოდ დაგწვა თქვენს ლამაზ, განიერ მხარბეჭს.

შვილო, ზურა, დღეს შენი დაბადების დღეა, 31 წლის გახდებოდი, გილოცავთ.

შენი გულდამწვარი მშობლები, ცოლ-შვილი, დედმამიშვილები, დები ციცინო და აზა უგრეხელიძეები.

## გილოცავთ

**იზა, ილო, ნათელა, კოლია ჩაკვეტაძეებს**
**ციცო, მაკა, ზაზა ხეცურიანებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და დისშვილის შეძენას.

**ზაურ ახვლედიანი ოჯახით.**

---

**ხათუნა გენდელიანს, ამირან ხვადაგიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

**ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები.**

---

**შალვა ომანაძეს, მურმან ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ შვილების ბედნიერებას.

**ზუბის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.**

---

**ლალი გვიშიანს**

გილოცავთ დისშვილის შეძენას. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

**შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

**თამარ, კუკური, დარეჯან, დათო ლეშკაშელებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**ზინა, ნადია გურულები.**

---

**ქეთო გოდერიძეს, ციალა, შოთა ბუაძეებს**
**ციცო, სერგო ახვლედიანებს**

გილოცავთ შვილიშვილებისა და შვილების უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**ზინა და ნადია გურულები.**

---

**ირმა, გია, ნონა, მევლუდ ირემაძეებს**

გილოცავთ პატარა მარიამის შეძენას, იმრავლეთ, იბედნიერეთ.

**გულნაზი, გულსუნდა, ლილი, ნინა.**

---

**დარეჯან, იური მიქაუტაძეებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო.

**თამთა, გვანცა, მარინე, ოთარ კვენეტაძეები.**

---

**დალი დაშნიანს, მევლუდ ლიპარტელიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ღირსეული ვაჟკაცი.

**ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.**

---

**დალი დაშნიანს**
**მევლუდ, ანა ლიპარტელიანებს**

გილოცავთ შვილისა და ძმის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი. ეცხოვროს თავისუფალ საქართველოში.

**ომარ ყარულაევი ოჯახით.**

---

**მანანა, კობა ბენიძეებს**
**ანტიკა, გუდუ, ლია, გელა ომანაძეებს**

გილოცავთ პატარა ზაურის დაბადებას, ღმერთი იყოს მისი მფარველი.

**მარინე, იამზე ასათიანები.**

---

**მარიკა და ნოე ჩხეტიანებს**

გილოცავთ შვილის და დისშვილის შეძენას. გფარავდეთ ღმერთი.

**ოყურეშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი.**

---

**ლელა, დათო ხეცურიანებს**

გილოცავთ მულისა და დის ბედნიერებას.

**შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

**ლალი და ელდარ!**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ ერის საამაყო შვილი.

**მზია, მურმან ბენიძეები.**

---

**ნინო ბახვას ასულ კოპალიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავ დღეგრძელი და ბედნიერი.

**ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები.**

---

**ლანა რამაზის ასულ სალინაძეს**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ მარადიული სიხარულით ბედნიერ ბავშვობას.

**ლანა ბურჯალიანი.**

---

**გოგი ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გფარავდეს ღმერთი.

**დალი ომანაძე.**

---

**ციცო უგულავას**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

**ბიჭიკო ომანაძე ოჯახით.**

---

**დალი, მევლუდ ლიპარტელიანებს**

გილოცავთ პატარა შოთიკოს შეძენას.

**ოთარ ლიპარტელიანი, ზუზუ ფუტკარაძე, ჟორა სილაგაძე, ელგუჯა ლეთოდიანი, ბორის კაკრიაშვილი ოჯახებით.**

## გილოცავთ დაქორწინებას!

**ეთერ კილასონიას, გელა უჩაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით, იხარეთ.

**დათო, ნუგზარ, ნანი, ემზარ, ლამარა დავითულიანები.**

---

**ნატო მუშკუდიანს, ჯიბული ლეთოდიანს**
**მარინე მუშკუდიანს, გელა ბენიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.

**მუხრან დაშნიანი, ვაჟა ნემსწვერიძე, იოსებ ხეცურიანი ოჯახებით.**

---

**ეთერ კილასონიას, გელა უჩაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი. გფარავდეთ ღმერთი.

**მელორ მამარდაშვილი, ნუგზარ დავითულიანი ოჯახებით.**

---

**ნატო მუშკუდიანს, ჯიბული ლეთოდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**ნონა, აზა, სოფო, მამუკა, გოჩა, სოზარ სვანიძეები.**

---

ძმები ჯიმშერ, შიო, და ნუცა ახვლედიანები, მამიდაშვილი ოლია ჩიქოვანი, მევლუდ ლიპარტელიანი - ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შილა ამბაკოს ძე ახვლედიანი**

დაკრძალვა 7 ნოემბერს, შაბათს, ქ. თბილისში. გამოსვენება დიღმის მასივის მე-4 კვარტალის მე-13 კორპუსიდან.

---

უახლოესი მეზობლები მელორ მამარდაშვილი, მიხეილ ჯაბურია, დიტო გოგიძე, იოსებ რატიანი, ოთარ თვარაძე, ბენია ახვლედიანი, ტუღუ ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დარეჯან, თენგიზ ჩაკვეტაძეებს ძმის და ცოლისძმის

**ფრიდონ აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლევან ჩიქოვანი ოჯახით თანაუგრძნობს შიო ახვლედიანს ძმის

**შილას**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო, ჯიმშერ ახვლედიანებს მაზლის და ძმის

**შილა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

№ 23 საგზაო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს დარეჯან, თენგიზ ჩაკვეტაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ფრიდონის**

გარდაცვალების გამო.

---

დოდო და ნოდარ ნემსაძეები იუწყებიან

**შილა ამბაკოს ძე ახვლედიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ღედმამისშვილებს.

---

სოსო ქებუკიანი ოჯახით სამიმარს უცხადებს გულო, რეზო ჩხეტიანებს

**გია გრიშას ძე ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის X ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ აზა ახვლედიანს ბებიის

**აგრაფინა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ბაბუცა, ნაზიკო, გულნაზი, მურთაზი, ანზორი, რძლები ნანი, ია, დუდუშა, ჯენი ახვლედიანები, ძმისშვილები იაშა, ჯიმიკო მეშველიანები, სიძეები დავითი, მიშა, მიშიკო, მურმანი, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აგრაფინა პავლეს ასული ახვლედიანი.**

დაკრძალვა 7 ნოემბერს, შაბათს, ქ. ცაგერში.

---

მეუღლე გულნაზი მესხაძე, ბიძები რეზო, ნოდარი, ბიძაშვილები ზურიკო, მერაბ ჩხეტიანები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**გია გრიშას ძე ჩხეტიანი.**

დაკრძალვა 5 ნოემბერს, ხუთშაბათს ქ. თბილისში. გამოსვენება რწანისის 7 ა.

---

ვასილ ჩხეტიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გია ჩხეტიანი.**

---

გოგუცა მესხიძე ოჯახით თანაუგრძნობს რეზო ჩხეტიანის ოჯახს ძმისშვილის

**გიას**

გარდაცვალების გამო.

---

დუგლას ომანაძე ოჯახით თანაუგრძნობს შოთა გოლეთიანის ოჯახს მამის

**ნიკო გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს გულო სალინაძეს და ქუქუნა სვანიძეს მეუღლისა და სიძის

**ბორის სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ შიო, ჯიმშერ ახვლედიანებს ძმის

**შილა ამბაკოს ძე ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თამარ, ლილი, ნორა ახვლედიანები თანაუგრძნობენ თენგიზ, დარეჯან ჩაკვეტაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ფრიდონის**

გარდაცვალების გამო.

---

ლუხვანოს საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა კოპალიანს დისშვილის

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე პართლი, შვილები გრიშა, ყორესი, [illegible] რძლები [illegible] და ნანა, ძმები [illegible], სიძეები დათო, კუკური, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაბილო თადეოზის ასული ფუტკარაძე-უგულავა**

დაკრძალვა 8 ნოემბერს, კვირას, სოფ. ლარჩვალში.

---

რაიკოოპერატივისა და პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი გოლეთიანს მამის

**ნიკო გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიძინა, შალვა სალინაძეები, ტიტიკო კოპალიანი, დოდო ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ დარეჯან, თენგიზ ჩაკვეტაძეებს ძმის და ცოლისძმის

**ფრიდონ აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნინო, გელა კოპალიანები, თინა, ჟენია ბობოხიძეები, გოგი გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ დარეჯან, თენგიზ ჩაკვეტაძეებს ძმის

**ფრიდონ აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნაზი ახვლედიანს დედის

**ანიჩკას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები გურამ გვიშიანი, ჭუჭულა გურგუჩიანი, გურამ გოგებაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟენია გვიშიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნანუშა ონიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლალი გოლეთიანს მამის

**ნიკო გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო ცხვედიანი ოჯახით თანაუგრძნობს რეზო ჩხეტიანის ოჯახს

**გიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რეზო, გულო ჩხეტიანებს ძმისშვილისა და მაზლისშვილის

**გია გრიშას ძე ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი ამხანაგები ძაძუ, ჟორა ახვლედიანები, იული სილაგაძე, ანიჩკა ტვილდიანი იუწყებიან

**შილა ამბაკოს ძე ახვლედიანის**

გარდაცვალებას.

---

ცაგერის საშუალო სკოლის IV ბ კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ეთერ კოპალიანი თანაუგრძნობენ დათო ჩაკვეტაძეს ბიძის

**ფრიდონ აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

## შ ა ს წ ო რ ე ბ ა

ჩვენი გაზეთის 29 ოქტომბრის ნომერში რუბრიკით „ხსოვნა“ გამოქვეყნებულია გახსენება **ნუგზარ ოთარის** ძე (და არა ნოდარის ძე, როგორც დაბეჭდილია გაზეთში) **ახვლედიანისა.** რედაქცია ბოდიშს იხდის დაშვებული შეცდომისათვის.

ცაგერის რაიონული სტამბა.